წერილის ნომერი:**31-31220753**
თარიღი: **16/03/2022**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №4

ლანჩხუთი

14.03.2022 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე.

არ ესწრებოდა: გოჩა ჯანაშია.

მოწვეული პირები: ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ დირექტორი - ზაალ სანაძე, შ.პ.ს. „ლანჩხუთის“ დირექტორი - ლევან იმნაძე და შ.პ.ს. „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის“ ბუღალტერი - კახა ურუშაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2. შ.პ.ს. „ლანჩხუთის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

3. შ.პ.ს. „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

4. სხვადასხვა:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საფეხბურთო სკოლის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის სხდომას წარუდგინა სკოლის დირექტორმა - ზაალ სანაძემ. მან აღნიშნა, რომ არსებულმა პანდემიამ ძალიან შეუშალათ ხელი შეჯიბრებებზე. ა(ა)იპ-ს ჰყავს 7 თანამშრომელი შტატში და 34 შტატგარეშე, აქედან 22 მწვრთნელია, რომელთა ხელფასებიც განსაზღვრულია ლიცენზიის მიხედვით. რეორგანიზაციის შედეგად მოხდა 9 თანამშომლის გათავისუფლება. 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 300000 ლარს. ამ ეტაპზე ხელფასების მატება მოხდა შიდა რესურსით, ისევ იგეგმება მომავალი წლიდან.

ზაალ სანაძემ ასევე აღნიშნა, რომ ისინი თავად უვლიან სტადიონებს, სულ 3 სტადიონი აქვთ უზუფრუქტის ხელშეკრულებით.

ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ მუშაობა და მხარდაჭერას უცხადებენ მათ.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - შ.პ.ს. „ლანჩხუთის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა შ.პ.ს.-ს დირექტორმა - ლევან იმნაძემ, მან განმარტა, რომ 185000 ლარი შადგენს მიმდინარე წლის ბიუჯეტს, აქედან 32000 ლარს იხდიან მიწის და ქონების გადასახადს. სულ 19 თანამშრომელი ჰყავთ, აქედან 4 შტატით და 15 ხელშეკრულებით., რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლდა 5 თანამშრომელი.

ლევან იმნაძის თქმით, სტადიონთან მისასვლელი გზა დაზიანებულია, ასევე სტადიონი და ტრიბუნები საჭიროებს რემონტს. როგორც იმნაძემ აღნიშნა, შესაძლებელია წლის ბოლოს დასჭირდეთ თანხის დამატება, რადგან ესაჭიროებათ ბალახის სათიბი აპარატების შეძენა.

ფრაქცია მხარდაჭერას უცხადებს შ.პ.ს „ლანჩხუთს“.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხზე - შ.პ.ს. „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა შ.პ.ს.-ს ბუღალტერმა კახა ურუშაძემ, მისი განმარტებით ბიუჯეტი შეადგენს 150000 ლარს, 3 თანამშრომელი ყავთ შტატში, ფეხბურთელები ხელშეკრულებით, რეორგანიზაცია არ მომხდარა. ფრაქციის თავმჯდომარე მაკა ურუშაძე დაინტერესდა ფეხბურთელ გოგონათა ანაზღაურებით, როგორც ურუშაძემ თქვა მათი ხელფასი შეადენს 1200 ლარს.

კახა ურუშაძის თქმით გუნდის სპონსორია „ლიბერთი ბანკი“, რომელიც ეხმარებათ, ასევე მათ აფინანსებს ფეხბურთის განვითარების ფონდი, მიუხედავად ამისა არსებული ბიუჯეტი საკმარისი არაა, ვინაიდან გუნდში არის ჩამოყვანილი ფეხბურთელები, რომელთაც უზრუნველყოფენ საცხოვრებლით და ტრანსპორტით, ასევე მოიმატა კვების თანხამაც.

ფრაქციის წევრები აღნიშნავენ, რომ ძალიან წარმატებულები არიან გოგონები, შესაბამისად მხარს უჭერენ მათთვის თანხის დამატებას

სხვადასხვაში: ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ ისაუბრა სადეპუტატო უფლებამოსილების თანხის განსაზღვრაზე, ასევე მოითხოვა, რომ რეგლამენტში შევიდეს ცვლილება, ფრაქციის მიერ საკრებულოსა და კომისიის სხდომებზე დაყენებულ საკითხებზე მოხდეს რეაგირება და ფრაქციას პასუხი ეცნობოს წერილობით.

ვინაიდან სხვა საკითხები ფრაქციის წევრების მიერ არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დამთავრებულად გამოაცხადა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

14.03. 2022 წელი

12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	12:00	[signature]
2	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	[signature]
3	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	[signature]